2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

თბილისი

2017

შინაარსი

შესავალი 3

1. ძირითადი მიგნებები 4

2. კვლევის მეთოდოლოგია 6

3. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები 8

3.1. კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები 8

3.2. მიმდინარე საქმიანობა: სწავლა 18

3.3. მიმდინარე საქმიანობა: დასაქმება (დაქირავებული) 19

3.4. მიმდინარე საქმიანობა: დასაქმება (თვითდასაქმებული) 23

3.5. მიმდინარე საქმიანობა: სტაჟირება 26

3.6. მიმდინარე საქმიანობა: უმუშევრობა 27

3.7. კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 29

დასკვნა 32

შესავალი

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას, შედეგად იგი უკვე აღქმულია, როგორც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებისთვის და პროვაიდერებისთვის პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული სამომავლო სტრატეგიების, ხედვებისა და აქტივობების დაგეგმვის მიზნით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევის უზრუნველყოფა, რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტებს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სანდო და ვალიდური კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ დროის გარკვეულ პერიოდში პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა საქმიანობაზე, ხოლო კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები საფუძვლად დაუდონ პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროექტებისა თუ აქტივობების განხორციელებას.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების მრავალმხრივ გამოყენების შესაძლებლობისა და ზოგადად, კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study), რომელიც წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ რეტროსპექტიული ხედვას, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

1. ძირითადი მიგნებები

- კურსდამთავრებულთა 83% აღნიშნავს, რომ კმაყოფილია არჩეული პროფესიით და თავიდან ჩაბარების შემთხვევაში იგივე პროფესიას აირჩევდა. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა (93%) კმაყოფილია იმ საგანმანათლებლო დაწესებულებით, სადაც კონკრეტულ პროფესიას დაეუფლა;
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა - 62% აცხადებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება ხელს უწყობს მუშაობის დაწყებას;
- კურსდამთავრებულთა 32% გეგმავს სწავლის გაგრძელებას. მათ უმრავლესობას (48%) კვლავ პროფესიულ სასწავლებელში სურს სწავლის გაგრძელება;
- კურსდამთავრებულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ პროფესიული განათლებასთან დაკავშირებული რიგი ასპექტები, როგორიცაა დასაქმებაზე ზრუნვა (64%), პრაქტიკის კურსები (40%) და განათლების ხარისხი (39%) საჭიროებს გაუმჯობესებას;
- პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა წინმსწრები განათლება ძირითად შემთხვევაში (47%) საშუალო განათლებაა. ასევე, მაღალია იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, რომელთა წინმსწრები განათლება უმაღლესია (26%);
- კურსდამთავრებულთა 8% გამოკითხვის პერიოდისთვის სწავლას განაგრძობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 5% - კვლავ სწავლობს პროფესიულ პროგრამაზე (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში);
- გამოკითხული კურსდამთავრებულების 49% დაქირავებული თანამშრომელია, რომელთა 38% პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით მუშაობს, ხოლო 13% აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ნაწილობრივ დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან;
- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია/ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიულ განათლებასთან, საშუალო ყოველთვიური ხელფასი <u>689 ლარია</u>;
- გამოკითხული კურსდამთავრებულების 8% თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულთა 32% აცხადებს, რომ მათი საქმიანობა დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა 16% აცხადებს, რომ ისინი ნაწილობრივ მუშაობენ საკუთარი სპეციალობით, ხოლო 51% ამბობს, რომ მათი საქმიანობა არ არის დაკავშირებული სპეციალობასთან;
- უმუშევარ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (31%) მუშაობის დაწყების ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ იმას, რომ მათ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა, 26%-ის თანახმად, სამსახურს ვერ იწყებს, რადგან არ აქვთ საკმარისი გამოცდილება;
- *პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა <u>დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი</u> 56.2%-ია, რაც 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მსგავს მონაცემთან შედარებით 0,2%-ით არის გაზრდილი:*

- დასაქმების მაღალი მაჩვენებელია 40–49 და 55-59 წლის კურსდამთავრებულთა ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო დაბალი მაჩვენებელი 15–24 წლის კატეგორიაში;
- დასაქმების მაჩვენებლის თანმიმდევრული ზრდა გამოვლინდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურების მიხედვით. მე-2 საფეხურის კურსდამთავრებულთა 51% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, მე-3 საფეხურის - 56%, მე-4 საფეხურის- 60%, ხოლო მე-5 საფეხურზე დაფიქსირდა დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 63%;
- მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება შემდეგ მიმართულებებზე: ინჟინერია, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები (მაგ.ბარმენი, სასტუმრო საქმისმწარმოებელი, გიდი, ტუროპერატორი და სხვა) და აგრარული მეცნიერებები;
- სქესის მიხედვით დასაქმებულთა მაჩვენებელი ერთმანეთისგან განსხვავებულია. გამოკითხულ მამაკაცთა 61.1% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი გამოკითხულიდან - 49.7%.

2. კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორიცაა:

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება;
- კურსდამთავრებულთა სამომავალო საგანმანათლებლო გეგმები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე;
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

კურსდამთავრებულთა კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ.

წინამდებარე კვლევა მოიცავდა ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2016 წლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში.

კვლევა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. ინტერვიუები განხორციელდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების მიერ, რომლებსაც კვლევის ინსტრუმენტისა და გამოკითხვის პროცესების შესახებ ჩაუტარდათ ტრენინგი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა შეკითხვებს კურსდამთავრებულთა დემოგრაფიული მახასიათებლების, მიღებული

პროფესიული განათლების, მიმდინარე საქმიანობის და ა.შ. შესახებ. მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ:

რას საქმიანობთ ამჟამად?

1. *სწავლობთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში*
2. *სწავლობთ პროფესიულ სასწავლებელში ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე*
3. *მუშაობთ*
4. *ხართ თვითდასაქმებული*
5. *ხართ სტაჟიორი/შეგირდი*
6. *ხართ დაუსაქმებელი.*

რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ მაქსიმუმ ორი ძირითადი საქმიანობა. თითოეულ რესპონდენტს დაახლოებით 40 კითხვაზე უწევდა პასუხის დაფიქსირება. ინტერვიუ საშუალოდ 15 წუთი გრძელდებოდა.

გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები შეტანილ იქნა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (www.poll.vet.ge). კვლევის ფარგლებში ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა EMIS.

2016 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის საველე სამუშაოები განხორციელდა 2017 წლის ოქტომბერში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 3144 კურს-დამთავრებული, რაც აღნიშნული წლის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 46%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1. გამოპასუხების მაჩვენებელი

2016 წლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა: **6886**
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა: **3144**

გამოპასუხების მაქსიმალური მაჩვენებლის მიღების მიზნით, ინტერვიუერები რამდენჯერმე ცდილობდნენ დაკავშირებას იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებსაც გამორთული ჰქონდათ ტელეფონი. ასევე, იმ კურსდამთავრებულების შემთხვევაში, რომლებიც ამბობდნენ, რომ არ ჰქონდათ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების დრო, ინტერვიუერები უთანხმდებოდნენ მათთვის სასურველ დროზე და შემდგომ უკავშირდებოდნენ.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობის შემთხვევაში, რომელებიც არ/ვერ გამოიკითხნენ ძირითადად ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა არა ის რომ რესპონდენტები უარს ამბობდნენ კვლევაში მონაწილეობაზე, არამედ კურსდამთავრებულთა ბაზაში მითითებული ნომერი იყო არასწორი ან ტელეფონი ჰქონდათ გამორთული და ვერ ხდებოდა დაკავშირება.

3. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები

3.1. კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები

2016 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3144-მა კურსდამთავრებულმა, რომელთა შორის 57% (1793) კაცია, ხოლო 43% (1351) - ქალი (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ნიშნით (N=3144)



კურსდამთავრებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილების შედეგად, ნათლად ჩანს, რომ პროფესიული განათლების მიღებით ყველაზე მეტად 20-24 და 25-29 წლის ახალგაზრდები არიან დაინტერესებულები (იხ ცხრილი #1 და დიაგრამა #3).

დიაგრამ #3: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (N=3144)



ცხრილი #1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკი	მამრობითი	მდედრობითი	სულ
15-19	263	81	344
20-24	702	545	1247
25-29	335	260	595
30-34	153	136	289
35-39	122	118	240
40-44	67	76	143
45-49	74	58	132
50-54	35	36	71
55-59	30	23	53
60+	12	18	30
სულ	1793	1351	3144

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 97% ეროვნებით ქართველია, ხოლო დანარჩენ 3%-ს შეადგენს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთა შორის უმრავლესობა სომეხია.

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას 85.2%-ს არ აქვს რაიმე ტიპის სოციალური სტატუსი, ხოლო 8.5% სოციალურად დაუცველი პირია, 4.6% - იძულებით გადაადგილებული პირია, 1.1% - შშმ პირი, ხოლო 0.3% - სსსმ პირი (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #4: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით (N=3144)



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აბარებენ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 46.9%-ს საშუალო განათლება (12 კლასი) ჰქონდა, 25.6%-ს - უმაღლესი განათლება, 15.6%-ს - საბაზო განათლება (9 კლასი), ხოლო 11.9%-ს კი პროფესიული განათლება (იხ. დიაგრამა #5).

დიაგრამა #5: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანმანათ-ლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე მიღწეული განათლების უმაღლესი დონის მიხედვით (N=3144)



კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა კმაყოფილება არჩეული პროფესიით და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სადაც დაეუფლნენ პროფესიულ სპეციალობებს. კურსდამთავრებულთა 83% აღნიშნავს, რომ კმაყოფილია არჩეული პროფესიით და თავიდან რომ აბარებდეს იგივე არჩევანს გააკეთებდა (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა #6: კურსდამთავრებულთა კმაყოფილება არჩეული პროფესიით (N=3144)



ხოლო ის კურსდამთავრებულები, რომლებიც არ არიან კმაყოფილები თავიანთი პროფესიით ძირითადად ასახელებენ შემდეგ მიზეზებს:

- სხვა პროფესია აინტერესებთ;

- მათი პროფესია არ არის დასაქმებადი;
- მათი პროფესია დაბალანაზღაურებადია (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა #7: არჩეული პროფესიით უკმაყოფილების ძირითადი მიზეზები (N=534)



რაც შეეხება, საგანმანათლებლო დაწესებულებით კმაყოფილებას - გამოკითხულთა 93% (2907) აირჩევდა იგივე პროფესიულ სასწავლებელს თავიდან რომ აბარებდეს (იხ. დიაგრამა #8).

დიაგრამა #8: კურსდამთავრებულთა კმაყოფილება საგანმანათლებლო დაწესებულებით (N=3144)



მხოლოდ 7% (237) არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და ძირითად მიზეზებად ასახელებენ პრაქტიკის კომპონენტისა და სწავლების დაბალ დონეს (იხ. დიაგრამა #9).

დიაგრამა #9: პროფესიული სასწავლებელთან დაკავშირებით გამოთქმული უკმაყოფილების მიზეზები (N=237)



აღსანიშნავია, რომ გრაფიკზე წარმოდგენილი კონკრეტული მიზეზების გარდა გამოკითხული კურსდამთავრებულები „სხვა“ კატეგორიაში ძირითადად ასახელებდნენ სამ მიზეზს, კერძოდ:

- პროფესიულ სასწავლებელში არ ისწავლება კურსდამთავრებულთათვის საინტერესო პროგრამები;
- პროფესიული სასწავლებელი ტერიტორიულად შორს არის;
- სწავლის გაგრძელება სურთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა სწავლასთან დაკავშირებული გეგმები. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 32%-ს (1016) სურს სწავლის გაგრძელება და მათი უმრავლესობა (48%) კვლავ პროფესიულ სასწავლებელში გეგმავს სწავლის გაგრძელებას, 38% უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 13% აღნიშნავს, რომ ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი სად სურს სწავლის გაგრძელება, ხოლო 1% სწავლის გაგრძელებას აპირებს სკოლაში, რაც განპირობებულია პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხით[1] (იხ. დიაგრამა #10).

[1] საბაზო განათლების მქონე პროფესიულ სტუდენტს არა აქვს შესაძლებლობა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის გარეშე გადავიდეს უმაღლესი განათლების საფეხურზე.

დიაგრამა #10: სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული გეგმები N=1017



კურსდამთავრებულთა კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების მრავალმხრივ შესწავლა. აღნიშნულიდან გამომდინარე კურსდამთავრებულებს დაესვათ კითხვა მიიღეს თუ არა რჩევა დასაქმების შესახებ დასახელებული დაწესებულებებისგან. გამოკითხულთა 38% აღნიშნავს, რომ რჩევა დასაქმების შესახებ მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან პრაქტიკის ადგილიდან, ხოლო 60% აღნიშნავს, რომ რჩევა არავისგან მიუღია (იხ. დიაგრამა #11).

დიაგრამა: #11 დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო (N=3144)



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 62% აცხადებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას, 34%

მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უწყობს ხელს, ხოლო 4% მიიჩნევს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება დასაქმებას ხელს არ უწყობს (იხ. დიაგრამა #12).

დიაგრამა #12: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათ-ლებლო პროგრამებზე მიღებული განათლების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით (N=3129)



კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ ასპექტებზე როგორიც არის:

- განათლების ხარისხი;
- დასაქმებაზე ზრუნვა;
- სწავლის მეთოდები;
- სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- პრაქტიკული კურსები;
- სტუდენტსა და ლექტორს შორის ურთიერთობა.

კურსდამთავრებულებს სამ ბალიან სკალაზე - „საჭიროებს გაუმჯობესებას“, „მეტ-ნაკლებად საჭიროებს გაუმჯობესებას“ და „არ საჭიროებს გაუმჯობესებას“ - უნდა შეეფასებინათ თითოეული ასპექტი.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ყველაზე მეტად დასაქმებაზე ზრუნვა, პრაქტიკის კურსები და განათლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას. რაც შეეხება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ურთიერთობებს და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას კურსდამთავრებულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ საჭიროებს გაუმჯობესებას (იხ. დიაგრამა #13).

დიაგრამა #13: პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული ასპექტების გაუმჯობესება



კურსდამთავრებულთა მიმდინარე საქმიანობის შესასწავლად კვლევის ინსტრუმენტში წარმოდგენილი იყო სამი ძირითადი კატეგორია:

I. **სწავლა** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; პროფესიულ სასწავლებელში ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

II. **დასაქმება** - დაქირავებული მუშაკი; თვითდასაქმებული; სტაჟიორი/შეგირდი;

III. **უმუშევრობა** (იხ. დიაგრამა #14).

დიაგრამა #14: მიმდინარე საქმიანობა



დაფიქსირებული პასუხების მიხედვით კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (49%) მუშაობს, 31% - უმუშევარია, 8% - სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 8% - თვითდასაქმებულია, 5% - სწავლობს პროფესიულ პროგრამაზე (კოლეჯში ან უსდ-ში), ხოლო 1% - გადის სტაჟირებას/მუშაობს შეგირდად[2].

[2] კითხვაზე რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ 2 პასუხის დაფიქსირება. აღნიშნულ კითხვაზე პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხების რაოდენობების მიხედვით.

3.2.მიმდინარე საქმიანობა: სწავლა

გამოკითხულთა 13% (415) აღნიშნავს, რომ პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ აგრძელებს სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და/ან პროფესიულ სასწავლებელში/უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 8% (251), რომელთაგან უმრავლესობა (201) ირიცხება ბაკალავრიატის საფეხურზე, 49 კურსდამთავრებული - მაგისტრატურის საფეხურზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული განაგრძობს სწავლას დოქტორანტურის საფეხურზე (იხ. დიაგრამა #15).

დიაგრამა #15: სწავლის გაგრძელება უსდ-ში შემდეგ საფეხურზე (N=251)



იმ კურსდამთავრებულთა 52%, რომლებიც სწავლას განაგრძობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღნიშნავს, რომ ახალი პროფესია სრულად/ნაწილობრივ არის დაკავშირებული მიღებულ პროფესიულ განათლებასთან. ხოლო 48% აცხადებს, რომ სპეციალობა, რომელსაც ისინი ამჟამად ეუფლებიან დაკავშირებული არ არის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც ისინი სწავლობდნენ.

კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლას განაგრძობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (171), ეკითხებოდნენ მათი ამჟამინდელი სასწავლო პროგრამა არის თუ არა დაკავშირებული მიღებულ სპეციალობასთან. კურსდამთავრებულთა 67% აღნიშნავს, რომ ახალი პროფესია სრულად/ნაწილობრივ არის დაკავშირებული მიღებულ განათლებასთან. ხოლო 33% ამბობს, რომ ახალი სასწავლო პროგრამა არ არის დაკავშირებული მიღებულ განათლებასთან.

3.3.მიმდინარე საქმიანობა: დასაქმება (დაქირავებული)

გამოკითხული კურსდამთავრებულების 49% (1534) დაქირავებული მუშაკია. გამოკითხულთა უმრავლესობა (72%) აცხადებს, რომ დასაქმებულია კერძო სექტორში, ხოლო 24.7% - აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულებაში მუშაობს. იხ. დიაგრამა #16

დიაგრამა #16: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით (N=1517)



დასაქმებულთა 38% პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით მუშაობს. 13% აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ნაწილობრივ დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ხოლო 49% ამბობს, რომ მათი საქმიანობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული მიღებულ სპეციალობასთან (იხ. დიაგრამა #17).

დიაგრამა #17: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით დასაქმება (N=1517)



კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა (62%), რომლებიც დაქირავებით მუშაობენ აცხადებენ, რომ სამსახური დაიწყეს დამოუკიდებლად. 21%-ს სამსახურის დაწყებაში დაეხმარა ნაცნობ-მეგობრები, ხოლო 12%-მა სამსახური დაიწყო კოლეჯის დახმარებით (იხ დიაგრამა #18).

დიაგრამა #18: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება სამსახურის დაწყების ხელისშემწყობი ფაქტორების მიხედვით (N=1517)



დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 38%-ს 1 წლამდე სამუშაო ხელშეკრულება აქვს, 17%-ს უვადო, 5%-ს 1-იდან 3 წლამდე, 8%-მა არ იცის აქვს თუ არა სამუშაო ხელშეკრულება, ხოლო 30% აცხადებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება არ აქვს. იხ. დიაგრამა #19

დიაგრამა #19: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით (N=1517)



დასაქმებული კურსდამთავრებულთა 51% (777) აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა დაკავშირებულია/ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიულ განათლებასთან. აღნიშნულ კურსდამთავრებულთა საშუალო ყოველთვიური ხელფასი - **689 ლარია**.

კვლევის შედეგების მიხედვით ყველაზე მაღალი ანაზღაურება (1500-4000 ლარი) ფიქსირდება 30-მდე სპეციალობის შემთხვევაში, მათ შორის არის შემდეგი სპეციალობები:

- ტოპოგრაფი;
- ამწის მემანქანე;
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი;
- სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- სარესტორნო საქმისმწარმოებელი
- ვებსპეციალისტი;
- აგრარული ტექნიკის მექანიკოსი;
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი;
- მღებავი;
- მშენებლობის მწარმოებელი
- სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი;
- სამთო ტექნიკოსი;
- სასტუმრო საქმისმწარმოებელი.

აღსანიშნავია, რომ მაღალანაზღაურებად კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მამაკაცია.

დაბალი საშუალო ანაზღაურება (400 ლარამდე) ფიქსირდება შემდეგი სპეციალობის მქონე კურსდამთავრებულების შემთხვევაში:

- დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
- ბანკის ოპერატორი;
- გიდი;
- ექთნის თანაშემწე;
- ფარმაცევტის თანაშემწე;
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- სტილისტი (ქალი, მამაკაცი);
- გამყიდველ-კონსულტანტი;
- მოლარე;
- თექის ხელოსანი.

დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (67%) აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არის, სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია 29%, ხოლო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 4% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არ არის (იხ. დიაგრამა #20).

დიაგრამა #20: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამსახურით კმაყოფილების მიხედვით (N=1517)



კურსდამთავრებულების უმრავლესობა (54%) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის პირდაპირ დაკავშირებული იმ სამუშაოსთან, რომელსაც ასრულებს, ხოლო 30% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სამუშაოს მოთხოვნებთან, 2% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ხოლო 14% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვს (იხ. დიაგრამა #21).

დიაგრამა #21: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით (N=1517)



3.4.მიმდინარე საქმიანობა: დასაქმება (თვითდასაქმებული)

გამოკითხული კურსდამთავრებულების 8% (240) თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულთა 32% აცხადებს, რომ მათი საქმიანობა დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა 16% აცხადებს, რომ ისინი ნაწილობრივ მუშაობენ საკუთარი სპეციალობით, ხოლო 51% ამბობს, რომ მათი საქმიანობა არ არის დაკავშირებული სპეციალობასთან (იხ. დიაგრამა #22).

დიაგრამა #22: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება იმის მიხედვით მუშაობენ თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით (N=240)



თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (52%) კითხვაზე „რატომ გადაწყვიტეს შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება?“ აცხადებს, რომ მათ უნდოდათ ჰქონოდათ საკუთარი ბიზნესი, ხოლო 48% აღნიშნავს, რომ ვერ იშოვეს სამსახური (იხ. დიაგრამა #23).

დიაგრამა#23: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება შინამეურნეობის/ საკუთარი ბიზნესის წამოწყების მიზეზის მიხედვით (N=240)



თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა საკუთარი ბიზნესის/შინამეურნეობის დაწყების მიზეზად ძირითადად პიროვნულ სურვილს ასახელებენ, 36 კურსდამთავრებული აღნიშნავს, რომ საკუთარი ბიზნესი დაიწყო ვინაიდან ჰქონდა შესაბამისი რესურსები (მაგ., ფართი, ფული, მანქანა), ხოლო 28 კურსდამთავრებული აღნიშნავს, რომ ბიზნესი დაიწყო ვინაიდან ჰქონდა შესაბამისი პროფესიული განათლება (იხ ცხრილი #2).

ცხრილი #2: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა საკუთარი ბიზნესის/ შინამეურნეობის დაწყების მიზეზები მიხედვით

საკუთარი ბიზნესის/შინამეურნეობის დაწყების მიზეზი	რაოდენობა
ყოველთვის ანიჭებდით უპირატესობას საკუთარ ბიზნესს	39
გქონდათ რესურსები (მაგ., ფართი, ფული, მანქანა) ბიზნესის წამოწყებისათვის	36
გქონდათ შესაბამისი პროფესიული განათლება	28
გაქვთ ბიზნესის მართვის კარგი უნარი	26
გქონდათ კარგი ბიზნეს-გეგმა	18
გქონდათ კარგი საქმიანი კონტაქტები	12
გქონდათ სესხის აღების შესაძლებლობა	3
სხვა	19
სულ	181

თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ, თუ როგორ შეაფასებდნენ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას. მათი უმრავლესობა (51%) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია; 31% აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, 14% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაოს მოთხოვნები, ხოლო 4% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვს (იხ. დიაგრამა #24).

დიაგრამა #24: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით N=240



თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს ასევე ეკითხებოდნენ კმაყოფილნი არიან თუ არა შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით. მათი უმრავლესობა, 50% აცხადებს, რომ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილი არიან, 41% აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ არის კმაყოფილი, ხოლო 8% ამბობს, რომ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილი არ არის (იხ. დიაგრამა #25).

დიაგრამა #25: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება შინამეურნეობის/ საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილების მიხედვით



3.5.მიმდინარე საქმიანობა: სტაჟირება

გამოკითხულთა შორის 21 კურსდამთავრებული გადის სტაჟირებას. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (15) სტაჟირებას გადის კერძო დაწესებულებაში, 3 - სახელმწიფო დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი კურსდამთავრებულების სტაჟირებას გადიან სხვა ტიპის დაწესებულებაში (მაგ. არასამთავრობო) და ოსტატთან.

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შორის, რომლებიც გადიან სტაჟირებას/მუშაობენ შეგირდად, 29% გადის სტაჟირებას საკუთარი სპეციალობით, ხოლო 43%-ის შემთხვევაში სტაჟირების სფერო არ არის დაკავშირებული მიღებულ სპეციალობასთან (იხ. დიაგრამა #26).

დიაგრამა #26: კურსდამთავრებულთა განაწილება სტაჟირების სფეროს სპეციალობასთან კავშირის მიხედვით



აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, რომლებიც გადიან სტაჟირებას, კმაყოფილები არიან თავიანთი საქმიანობით.

3.6.მიმდინარე საქმიანობა: უმუშევრობა

გამოკითხულ კურსდამთავრებულებიდან 31% (983) კვლევის პერიოდში უმუშევარი იყო.

უმუშევარ კურსდამთავრებულთა 79% ამბობს, რომ ეძებს სამუშაოს, ხოლო 21% აღნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდისთვის სამუშაოს არ ეძებს, ვინაიდან არ აქვს შესატყვისი ოჯახური პირობები, აპირებს სწავლის გაგრძელებას და სხვა (იხ. დიაგრამა #27).

დიაგრამა #27: მიზეზები, რის გამოც კურსდამთავრებულები გამოკითხვის პერიოდში არ ეძებენ სამუშაოს N=211



უმუშევარ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (31%), რომლებიც ეძებენ სამუშაოს მუშაობის დაწყების ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ იმას, რომ მათ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა, 26%-ის თანახმად, სამსახურს ვერ იწყებს, რადგან არ აქვთ საკმარისი გამოცდილება (იხ. დიაგრამა#28).

დიაგრამა#28: მუშაობის დაწყების ხელისშემშლელი ფაქტორები N=778



„სხვა“ არჩევითი პასუხის დამუშავების შედეგად, ძირითადად გამოიკვეთა მუშაობის დაწყების ხელისშემშლელი შემდეგი ფაქტორები:

- დაბალი ანაზღაურება;
- ოჯახური მდგომარეობა;
- ასაკი;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა.

3.7.კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად და შესაბამისად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მთლიანი სურათის მიღების მიზნით, შეიქმნა დასაქმების კომბინირებული ცვლადი, რომელიც აერთიანებს დაქირავებით დასაქმებულ, თვითდასაქმებულ და სტაჟიორ/შეგირდ (ანაზღაურებადი სტაჟირება) კურსდამთავრებულებს. მიღებული ცვლადის საფუძველზე შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და სქესს, ასაკს, ეროვნებას, წინმსწრებ განათლებას, საგანმანათლებლო მიმართულებებს და ა.შ. შორის არსებული მიმართებები.

პროფესიული პროგრამების <u>კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 56.2%-ია</u> [3] . სქესის ნიშნის მიხედვით დასაქმებულთა მაჩვენებელი განსხვავდება. გამოკითხულ მამაკაცთა 61.1% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი გამოკითხულიდან - 49.7%.

ასაკობრივ ჭრილში დასაქმებულთა პროცენტულ განაწილების მიხედვით, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 40 – 49 და 55-59 წლის კურსდამთავრებულებში, ხოლო დაბალი 15-24 წლის კურსდამთავრებულებში (იხ დიაგრამა #29).

დიაგრამა #29: დასაქმების მაჩვენებელი ასაკობრივ ჭრილში



[3] კითხვაზე „რას საქმიანობთ ამჟამად?“ რესპონდენტებს შეეძლოთ ორი არჩევითი პასუხის დაფიქსირება. რესპონ-დენტების გარკვეული ნაწილი აღნიშნავდა, რომ იყო დაქირავებული მუშაკი და ამავდროულად თვითდასაქმებული. დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი გამოთვლილია ინდივიდთა უნიკალური რაოდენობის მიხედვით და არა დაფიქსირებული პასუხების რაოდენობის მიხედვით.

დასაქმების მაჩვენებლისა და კურსდამთავრებულთა წინმსწრები განათლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ რაც უფრო მაღალია კურსდამთავრებულთა განათლების წინმსწრები დონე, მით უფრო მეტია დასაქმებულთა რაოდენობა. კერძოდ, დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბაზო განათლების მქონე პირების შემთხვევაში - 39.7 %. დასაქმების მაჩვენებელი განათლების საფეხურის შესაბამისად იზრდება - საშუალო განათლების შემთხვევაში - 54.3%, პროფესიული განათლების შემთხვევაში - 55.9%, ხოლო, უმაღლესი განათლების შემთხვევაში - 69.9% (იხ. დიაგრამა #30).

დიაგრამა #30: დასაქმების მაჩვენებელი წინმსწრები განათლების ჭრილში



მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ინჟინერიის, მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებებზე (იხ ცხრილი #3).

ცხრილი #3: დასაქმების მაჩვენებელი მიმართულებების მიხედვით

მიმართულება	გამოკითხულთა რაოდენობა	გამოკითხულთა შორის დასაქმებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა შორის დასაქმებულთა %
აგრარული მეცნიერებანი	444	254	57%
ბიზნესის ადმინისტრირება	610	299	49%
ინჟინერია	1187	722	61%
მეცნიერება/ საბუნებისმეტყველომეცნიერებანი	6	6	100%
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	356	217	61%
სამართალი	47	20	43%

სოციალური მეცნიერებები	8	2	25%
ხელოვნება	331	174	53%
ჯანდაცვა	155	73	47%
სულ	3144	1767	56.2%

მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები

- ბარმენი;
- სასტუმრო საქმისმწარმოებელი;
- გიდი;
- ტუროპერატორი (აგრო-.ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი);
- სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური და სხვ.

აგრარული მეცნიერებები

- ზოოტექნიკოსი;
- კონდიტერი;
- რძის გადამმუშავებელი.

მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანის მიმართულებაზე ფიქსირდება დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ ტოპოგრაფიის პროფესიის შემთხვევაში, თუმცა გასათვალის-წინებელია, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო აღნიშნული მიმართულების კურსდამთავრე-ბულთა მცირე რაოდენობამ - 32%-მა.

დასაქმების მაჩვენებლის თანმიმდევრული ზრდა ფიქსირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურების მიხედვით. მე-2 საფეხურის კურსდამთავრებულთა 51% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, მე-3 საფეხურის - 56%, მე-4 საფეხურის- 60%, ხოლო მე-5 საფეხურზე ფიქსირდება დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 63% (იხ. დიაგრამა #31).

დიაგრამა #31: დასაქმების მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის ჭრილში



დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას აძლევს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე დროითი მონაკვეთების ჭრილში.

2016 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 56.2%-ია, რაც 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მსგავს მონაცემთან შედარებით 0,2%-ით არის გაზრდილი.

დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება კურსდამთავრებულთა ასაკის, სქესის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და წინმსწრები განათლების მიხედვით. პროფესიული განათლების მიღებით ყველაზე მეტად დაინტერესებულები არიან ახალგაზრდები, თუმცა დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში. სქესი ნიშნის მიხედვით დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მამაკაცია. გამოკითხულ მამაკაცთა 61.1% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი გამოკითხულიდან - 49.7%. დასაქმების შედარებით დაბალი პროცენტი ქალებში შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზით და ერთ-ერთი ძირითადი შესაძლოა იყოს ოჯახური მდგომარეობა. კერძოდ, უმუშევარი ქალების უმრავლესობა კვლევის ფარგლებში აღნიშნავდა, რომ სამსახურს არ ეძებდა ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე მაგ., ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი და სხვა. დასაქმების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ინჟინერიის, მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებებზე. დასაქმების მაჩვენებელის ზრდის თანმიმდევრული ტენდენცია გამოვლინდა წინმსწრები განათლების დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად. აღნიშნული შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტია დასაქმების შესაძლებლობა.

რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას პროფესიული განათლებით, მათი უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუმცა ასევე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასაქმებაზე ზრუნვა, პრაქტიკული კურსები და განათლების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას.